მეგობრობა და პროსოციალური ქცევა

არსებული მასალა დაეხმარება სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლებს გაიაზრონ პროსოციალური აღზრდის მნიშვნელობა ბავშვის ჰარმონიულ და სტაბილურ განვითარებაში. მასალაში თავმოყრილია პრაქტიკული მაგალითები იმისა, თუ როგორ წავახალისოთ ბავშვებში მეგობრობა და ვასწავლოთ გაზიარებისა და ერთად თამაშის ჩვევები.

მე-2 თავის ნაწილები წიგნიდან "სოციალური და ემოციური განვითარება - პრაქტიკისა და მეცნიერული ცოდნის დაკავშირება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში", დეივ რილი, რობერტ სან ხუანი, სოან კლინკერი, ენ რამინგერი ("Social and Emotional Development – Connecting Science and Practice in Early Childhood Settings", by Dave Riley, Robert San Juan, Soan Klinker, Ann Ramminger).

მეგობრობა და პროსოციალური ქცევა

ალექსი ერთობა მეგობრებთან ბაგა-ბაღში. თუმცა თავისი დროის უდიდეს ნაწილს ატარებს ორ მეგობართან, ის ბავშვების უმეტესობას კარგად ეწყობა. ყველა მასწავლებელი აღიარებს, რომ ალექსი კარგად გრძნობს თავს ბაგა-ბაღში. კალებს კი, პირიქით, არა ჰყავს მუდმივი მეგობარი, ის ხანდახან ცდილობს სხვადასხვა თამაშს შეუერთდეს, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებს. ბაგა-ბაღის პერსონალი სხვადასხვა გზით ცდილობს, დაეხმაროს კალებს მეგობრების გაჩენასა და ბავშვებში გარევაში.

წინა თავში განვიხილეთ ბავშვების ადრეული ურთიერთობები იმ უფროსებთან, რომლებიც მათზე ზრუნავენ. ამ თავში კი სხვა ურთიერთობებს განვიხილავთ: ორ ბავშვს შორის მეგობრობას ან თანატოლებს შორის ურთიერთობას. როგორც წინა თავში, ახლაც დავინახავთ, რომ ადრეულმა ურთიერთობებმა შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს ბავშვის მომავალზე და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ბაგა-ბაღის მასწავლებლები ბავშვისთვის სწორი გზის ჩვენებაში მთავარ როლს ასრულებენ.

რატომ აქვს მნიშვნელობა თანატოლებს შორის ურთიერთობებს

იმედია, პატარა ბავშვები მეგობრებს იჩენენ ბაღში, რომ სასურველად და მიღებულად იგრძნონ აქ თავი. მეგობრობა ერთ-ერთი ცხოვრებისეული სიამოვნებაა. ბავშვებში მეგობრობის წახალისება, ხელს უწყობს ბავშვების განვითარებას. თუ რამდენად

კარგი ურთიერთობა აქვთ ბავშვებს თანატოლებთან ადრეულ ბავშვობაში, შემდგომში განაპირობებს მათ წარმატებას ინტელექტის ზრდაში, საკუთარი თავის რწმენის ჩამოყალიბებაში, გონებრივი სიჯანსაღის განვითარებასა და სკოლაში სწავლაში. მკვლევრები დააკვირდნენ ბავშვების ერთ ჯგუფს ბავშვობიდან მოზარდობის ასაკამდე და გამოარკვიეს, რომ იმ ბავშვებმა, რომლებსაც კარგი ურთიერთობები ჰქონდათ თანატოლებთან სკოლამდელ ასაკში, კარგი ურთიერთობები გააგრძელეს სიყმაწვილის ასაკშიც, და პირიქით, ბავშვებს, რომლებსაც უჭირდათ თანატოლებთან ურთიერთობა ადრეულ ასაკში, როცა გაიზრდებიან, ურთიერთობებში სირთულეები ისევ შეხვდებათ. რა თქმა უნდა, ეს შედეგები იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვის სოციალური ცხოვრება მთლიანად ადრეული ასაკით განისაზღვრება. მაგრამ თუ ჩვენ არაფერს გავაკეთებთ მათი გზის შესაცვლელად, ისინი ასეთივე ურთიერთობებს გააგრძელებენ მომავალშიც.

რატომ არის თანატოლებთან ადრეული ურთიერთობა ასეთი მნიშვნელოვანი ბავშვის მომავალი განვითარებისათვის? რამდენად კარგად ეწყობიან თანატოლებს _ მათი ურთიერთობის ხარისხი გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენს სწავლობენ ბავშვები. რადგან ბავშვები დღის განმავლობაში უმეტეს დროს თანატოლებთან ატარებენ, მათი ცოდნისა და განვითარების დიდი ნაწილი მათთან ურთიერთობაში ყალიბდება. უკიდურეს შემთხვევაში, სხვებისგან უარყოფილ და უგულებელყოფილ ბავშვებს, შესაძლოა, შემდგომში პრობლემები ჰქონდეთ ადამიანებთან შეწყობაში, სოციალურ უნარ-ჩვევებსა და სწავლაში. რა თქმა უნდა, ბავშვების ამ უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრდასრული ასაკის ადამიანებიც ახდენენ გავლენას. მაგრამ თანატოლებთან ურთიერთობას ბავშვისა და უფროსის ურთიერთობისაგან განმასხვავებელი მთელი რიგი ნიშან-თვისებები ახასიათებს, რამაც შეიძლება ბავშვს განვითარებისათვის განსაკუთრებული შესაძლებლობები შეუქმნას.

იმედისმომცემი პრაქტიკა

თამაში, რომელიც პროსოციალურ ქცევას მოითხოვს

რა დავინახეთ

მასწავლებელმა დიდი ფერადი პარაშუტი მოიტანა. ოთხ ზრდასრულთან ერთად თორმეტამდე ბავშვმა ხელი ჩასჭიდა პარაშუტის სახელურებს. მათ ბურთი მოათავსეს შუაში და ყველას ერთად უნდა ემოქმედა, ჰაერში რომ გაეშვათ. მასწავლებელმა იკითხა: „მაღლა ავწიოთ თუ დაბლა?“ ბავშვებმა უპასუხეს: „მაღლა“. მაგრამ ბურთი ძალიან მაღლა ვერ ავიდა და მასწავლებელმა ბავშვებს უთხრა: „ბურთი მაღლა არ ავიდა იმიტომ, რომ ყველა ერთად არ ვმოქმედებდით. მოდი, ისევ ვცადოთ.

მოემზადეთ 1, 2, 3!“ ყველამ ერთად იმოქმედა და ბურთი ჰაერში მაღლა ავიდა. ბავშვები აყვირდნენ: „ჩვენ შევძელით ეს! ჩვენ შევძელით ეს!“

რას ნიშნავს

თამაშისთვის საჭიროა, ბავშვებმა ერთმანეთს ყურადღება მიაქციონ და ერთად იმოქმედონ. ეს აიწონა-დაიწონას მსგავსია, ის არ მუშაობს თანამშრომლობის გარეშე! ეს თამაში ბავშვებს ასწავლის, რომ ერთმანეთს ყურადღება უნდა მიაქციონ.

იმედისმომცემი პრაქტიკა

ახალფეხადგმულ ბავშვებში პროსოციალური ურთიერთობის ჩამოყალიბება

რა დავინახეთ

მასწავლებელი ელაინს კუბებისაგან კოშკის აგებაში ეხმარება. როცა ენჯალი მიდის მასთან, ელაინი ხელს ჰკრავს. მასწავლებელი ეუბნება ელაინს: „კარგად მოიქეცი... ის შენი მეგობარია“. ელაინი თითს გაიშვერს ბავშვისკენ და მასწავლებელი ამბობს: „ენჯალი“. ბავშვები განაგრძობენ ერთმანეთზე მითითებას და მასწავლებელი იმეორებს მათ სახელებს.

რას ნიშნავს

მასწავლებელი ხელს უწყობს პროსოციალურ ქცევას. იგი რეაგირებს ელაინის აგრესიულ ქცევაზე და შეახსენებს მას იმ დადებით ქცევას, რაც უნდა, რომ ბავშვმა გამოიყენოს. ეს არის სწავლება. ის ელაინის თითის გაშვერას პასუხობს იმ ბავშვის სახელის დასახელებით, რომლისკენაც იშვერს ელაინი თითს. ახალფეხადგმული ბავშვები უფროსებთან ურთიერთობისას ხშირად იყენებენ თამაშს „თითი გაიშვირე და დაასახელე“. ამ შემთხვევაში მასწავლებლის მიერ თითოეული ბავშვის სახელის წარმოთქმა მათ ერთმანეთთან კავშირს აძლიერებს. ელაინი და ენჯალი სასიამოვნო თამაშში ერთვებიან, მაგრამ მხოლოდ მასწავლებლის დახმარებით.

რით განსხვავდება თანატოლებთან ურთიერთობა?

უფროსებთან ურთიერთობისაგან განსხვავებით ბავშვების ურთიერთობა თანატოლებთან არის ურთიერთობა თანასწორებს შორის. სათამაშო მოედანზე ბავშვები ფიზიკურად, ემოციურად, სოციალურად და ინტელექტუალურად ერთნაირ დონეზე არიან. სწორედ ამის გამო ეს ურთიერთობები ბავშვებს უფროსებთან

ურთიერთობისაგან განსხვავებულ გამოცდილებას აძლევენ. უფროსები ასწავლიან ბავშვებს და ჩამოყალიბების პროცესში მათ უნარ-ჩვევებს მიმართულებას აძლევენ. ამის საპირისპიროდ, თანატოლებს შორის ურთიერთობები ბავშვებს საშუალებას აძლევს, პრაქტიკაში გაატარონ და დახვეწონ ის, რაც უფროსი ასაკის მასწავლებლებისაგან ისწავლეს. ამის მაგალითია ის, რომ ბავშვები თავიანთ ენობრივ უნარ-ჩვევებს თანატოლებთან საუბრისას ავარჯიშებენ. ისინი თანატოლებთან ურთიერთობაში ასევე სწავლობენ სამართლიანობასა და მოლაპარაკების უნარ-ჩვევებს, რადგან ყველაზე კარგად თანასწორებს შორის მოლაპარაკება ამართლებს.

თანატოლებთან ურთიერთობის განსაკუთრებული მახასიათებლებით აიხსნება, რატომ ასრულებენ ეს ურთიერთობები ასე მნიშვნელოვან როლს ბავშვების განვითარებაში. თანატოლებთან ურთიერთობა შეიძლება ძალიან რთული და პრობლემატური იყოს ბევრი ახალფეხადგმული და სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის. რადგან ბავშვების უმეტესობა თავის ტოლ პირველ მეგობრებს ბაგა-ბაღში იჩენს, მათი პირველი ნაცნობობისათვის მეთვალყურეობის გაწევა ბაღის მასწავლებლებისა და მომვლელებისათვის მნიშვნელოვანი ამოცანაა. მასწავლებლების როლის შემსწავლელი კვლევის განხილვამდე ჩვენ მიმოვიხილავთ ადრეულ ასაკში ბავშვების თანატოლებთან ურთიერთობის შესახებ კვლევას.

როგორ ვითარდება თანატოლებთან ურთიერთობები

ბავშვის სხვა ადამიანებთან სოციალურ ურთიერთობებში შესვლისა და ყურადღების ძიების მიდრეკილებას *თანაზიარობა* ეწოდება.[52] ბავშვები დაბადებიდან რაღაც დონეზე სოციალურები არიან. ისინი სხვა ხმასთან შედარებით ადამიანის ხმას ანიჭებენ უპირატესობას. რადგან ახალშობილების გადარჩენა მთლიანად დამოკიდებულია უფროსებზე, ისინი ადვილად ეწყობიან ადამიანებს. ექვსი კვირის ასაკში ჩვილები უპირატესობას ანიჭებენ ადამიანების კომპანიას. პირველ სამ თვეში ისინი იწყებენ ღიმილსა და ღუღუნს და ცდილობენ ადამიანების ყურადღების მიპყრობას. სამი თვის ასაკში ბავშვების უმეტესობას უხარია, როცა ნაცნობს ხედავს (იღიმიან „სოციალური ღიმილით“) და მალე, უცნობების დანახვის დროს, შეიძლება დამორცხვება დაიწყონ და შეშინდნენ კიდეც.

თანატოლებთან ურთიერთობის პირველი ნიშნები სამიდან ოთხი თვის ასაკამდე იკვეთება, როცა ბავშვები ინტერესს იჩენენ სხვა ჩვილების მიმართ და ხანდახან ხელს უწვდიან და შეხება სურთ. ექვსი თვის ასაკში ბავშვები იწყებენ სხვა ბავშვებისათვის გაღიმებას, ემოციების ჟესტებით გამოხატვას და შეიძლება სათამაშოც კი გაუწოდონ. მომდევნო ექვსი თვის მანძილზე სოციალური ქცევა უფრო მეტად ხშირდება.

ზოგიერთმა ჩვილმა შეიძლება სათამაშოზე მიუთითოს თანატოლს (პატარაც ცდილობს, გამოიჩინოს „ერთიანი ყურადღება“) და გაიმეოროს მისი ქცევა. ეს შეიძლება იშვიათად და არარეგულარულად მოხდეს, მაგრამ ჩვილები ცნობენ თანატოლებს და რეაგირებენ მათზე.

ერთი წლის ასაკის შემდეგ ბავშვებში თანატოლებთან ურთიერთობა იმატებს. ახალფეხადგმული ბავშვი უფრო ხშირად განზრახ მოქმედებს ისე, თანატოლის ყურადღება რომ მიიქციოს და მისგან საპასუხო ქცევა მიიღოს. თვრამეტი თვის ასაკში ბავშვის ქცევა უფრო მეტად სოციალურია. გაღიმებითა და მიბაძვით რეაგირება უფრო მეტად ხშირდება. ამ ურთიერთობით მათი სიამოვნება უკვე აშკარა ხდება. ორი წლის ბავშვის ურთიერთობები თამაშს ჰგავს. მაგალითად, ისინი თამაშობენ, როდესაც ერთმანეთს დასდევენ და როდესაც ერთმანეთს ეხმარებიან სათამაშოს აწევაში.

თუმცა ბავშვებს უფროსების ყურადღება ისევ სიამოვნებთ, ისინი წლიდან წლამდე უფრო მეტად ანიჭებენ უპირატესობას და უკეთეს ურთიერთობას ამყარებენ თანატოლებთან. ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში მკვლევრები დააკვირდნენ ბავშვებს დაბადებიდან ხუთი წლის ასაკის ჩათვლით და დაინახეს, როგორ ვითარდებოდა თანატოლებს შორის ურთიერთობები დროთა განმავლობაში. ცხრილი 2.1-ში ბავშვების ასაკთან ერთად მარტივიდან (სადაც ჩვილები უბრალოდ ცნობენ ერთმანეთს) რთულამდე (როდესაც სკოლამდელი ასაკის ბავშვები თამაშში რთულ როლებს ასრულებენ) წარმოდგენილია იმ თამაშების ტიპების ჩამონათვალი, რასაც მკვლევრები დააკვირდნენ.

ცხრილი 2.1 ბავშვების თამაში თანატოლებთან თანდათან ვითარდება

ასაკი, როცა ქცევა პირველად ვლინდება	**თამაშის ტიპი**	**მაგალითი**
6-12 თვის	პარალელური თამაში - ორი ბავშვი ერთსა და იმავე ქმედებას ასრულებს ერთმანეთის ცნობის გარეშე.	ორი ბავშვი ზის ერთიმეორის გვერდით და თამაშობს „საქმიანი ყუთებით“. ისინი ვერ ამჩნევენ ერთმანეთის ქმედებას.
6-12 თვის	პარალელური გაცნობიერებული თამაში - პარალელური თამაში თვალების კონტაქტით.	ჩვილები ამჩნევენ ერთმანეთს დამოუკიდებლად თამაშის დროს.
12-18თვის	მარტივი სოციალური	ორი ბავშვი თამაშობს

	თამაში - ერთმანეთთან ურთიერთობა ერთნაირი ქმედებებით.	პლუშის სათამაშოებით, ისინი ერთმანეთს უღიმიან და სათამაშოებს ცვლიან ერთმანეთში.
18-24თვის	ორმხრივი თამაში - ბავშვები სოციალურ თამაშებში როლებს ცვლიან .	ბავშვები თამაშობენ „აბა, დამიჭირეს“ და „დამალობანას“.
2-3 წლის	წარმოსახვითი სოციალური თამაში - როლის თამაში ყოველგვარი დაგეგმვის, როლების მნიშვნელობის ან თამაშის გაგრძელების შესახებ მოლაპარაკების გარეშე.	ბავშვი კუბებისაგან აკეთებს „ავტობუსს“. ის დაჯდება „ავტობუსზე“ და დაიწყებს მის მართვას, მეორე ბავშვი უკან მიუჯდება, როგორც „მგზავრი“.
3-4 წლის	რთული სოციალური წარმოსახვითი თამაში - დაგეგმილი როლების თამაშით. ბავშვები ინაწილებენ როლებს. „სცენარი“ მზადდება და იცვლება თუ საჭიროა.	ორი ბავშვი გეგმავს „დაბადების დღეს“. ერთი ბავშვი ამბობს, რომ დედა იქნება და მეორე კი - შვილი. მეორე ბავშვი ამბობს, რომ წვეულებაზე ნამცხვარი უნდა ჰქონდეთ.

რა თქმა უნდა, თანატოლებს შორის ურთიერთობები თანაზიარობასა და ურთიერთქმედების საზღვრებს სცდება. ზოგიერთი ურთიერთობა უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება და იზრდება იმ მეგობრების რაოდენობა, რომლებსაც უპირატესობას ანიჭებენ. ამ მხრივ, ადრეულ ასაკში ბავშვების მეგობრობა დროთა განმავლობაში ვითარდება.

ადრეული ასაკის ბავშვების მეგობრობის სასარგებლო თვისებები

ჩვილები და ახალფეხადგმული ბავშვები თამაშის დროს მხოლოდ ზოგიერთ ბავშვს ანიჭებენ უპირატესობას, მაგრამ სამი და ოთხი წლის ბავშვები უკვე მეგობრულ კავშირებს ამყარებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სკოლამდელი ასაკის ბავშვებსაც კი ჰყავთ მეგობრები. იმ თანატოლებისაგან განსხვავებით, რომელთაც მეგობრობა არ აკავშირებთ, სკოლამდელი ასაკის მეგობრების ურთიერთობა უფრო რთული და კოორდინირებულია. სკოლამდელი ასაკის მეგობრებს ურთიერთობა სიამოვნებას ანიჭებთ და კონფლიქტის დროს უფრო ადვილად რიგდებიან, ვიდრე ის ბავშვები,

რომლებიც ერთმანეთთან არ მეგობრობენ. პატარა ბავშვები მეგობრებთან უფრო კარგად ახერხებენ ურთიერთობას, ვიდრე არამეგობრებთან. მომდევნო ნაწილში ჩვენ განვიხილავთ ადრეული ბავშვობის მეგობრობის ზოგიერთ ნიშან-თვისებას, რაც ბავშვების შემდეგი სწავლისთვის კარგ გარემოს ქმნის.

პრაქტიკული რჩევები

დაუსახეთ პრობლემები ბავშვებისთვის

ერთ ჯგუფში ჩვენ ვაკვირდებოდით, მოხერხებული მასწავლებელი როგორ აწვდიდა სამ ცალ მშრალ წებოს ოთხ ბავშვს. მას მშრალი წებოები კიდევ ჰქონდა ყუთში, მაგრამ ბავშვებს არ აჩვენა. მან ცოტა ხანი აცალა ბავშვებს, გაეანალიზებინათ სიტუაცია და შემდეგ ჰკითხა, რა შეიძლებოდა გაეკეთებინათ. რა თქმა უნდა, ბავშვებმა გადაწყვიტეს, წებოები ერთმანეთისთვის გაენაწილებინათ. მასწავლებელმა ბავშვებს პრობლემა შეუქმნა და ბავშვებმა შეძლეს მისი გადაჭრა. პრობლემები ბავშვებს მათი გადაჭრის შესაძლებლობებს აძლევს.

პრაქტიკული რჩევები

გახადეთ სწავლა ადვილი

კარგ ჯგუფში ჩვენ ყოველთვის ვეძებთ გზებს, პატარა ბავშვებისთვის სწავლა რომ უფრო ადვილი გავხადოთ. ჩვენ ბავშვისთვის შესაფერისი პატარა ზომის მაკრატლები გვაქვს, რომ რამის გაჭრა ადვილად შევძლოთ. ჩვენ ასევე გვაქვს პატარა ზომის ბოთლები, რომ ბავშვმა ისწავლოს, როგორ გადმოღვაროს წყალი და მას შემდეგ, რაც წყლის გადმოღვრას ისწავლის, მიეცით მას დიდი ბოთლი სავარჯიშოდ. როგორ შეგვიძლია ვასწავლოთ ბავშვებს გაზიარება და სხვების დახმარება რამდენადაც შესაძლებელია მარტივად?

ერთ-ერთ კვლევაში ბავშვის განვითარების შესახებ მკვლევრები გვირჩევენ ბავშვის პროსოციალური ქცევის გამოყენების გამოცდა მისი ახლო მეგობრებიდან დავიწყოთ. მას შემდეგ, რაც ბავშვები კომპრომისზე წავლენ მეგობართან, ჩვენ მათ ვუბიძგებთ ეს უნარ-ჩვევები სხვა ბავშვებთანაც გამოიყენონ. მაგალითად, თუ ჯგუფში საყვარელი სათამაშოს გაზიარების ან ერთად თამაშის პრობლემაა, შეგიძლიათ ჯგუფი ახლო მეგობრების წყვილებად დაჰყოთ და დროის საზომი მოწყობილობა მისცეთ, ამგვარად, მათ ეცოდინებათ, როდის უნდა გაცვალონ სათამაშო. მას შემდეგ, რაც მეგობრები ამას მარტივად გააკეთებენ, თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ წყვილები, რათა

ბავშვებმა ისწავლონ გაზიარება იმ თანატოლებთანაც, რომლებთანაც ნაკლები მეგობრობა აკავშირებთ. ბავშვების პროსოციალური ქცევა გაიზრდება, სანამ მთელ ჯგუფი არ ჩაერთვება მასში.

რა იქნება, თუ ბავშვს არა ჰყავს ახლო მეგობარი, ვისგანაც ეს ცდა შეიძლება დავიწყოთ? ეს არის პირველი რამ, რაზეც უნდა იმუშაოთ. მეგობრები საჭიროა სხვისი პერსპექტივის აღქმის უნარის, ემპათიისა და პროსოციალური ქცევის ჩამოსაყალიბებლად.

პრაქტიკული რჩევები

წესები, რომელიც ეხმარება ბავშვებს ერთმანეთის უკეთ გაცნობაში

როცა ბავშვები დილით მოდიან ცენტრში, მარტივი მისასალმებელი სიმღერა, სადაც ყველა ბავშვის სახელი იქნება ნახსენები, დაეხმარება მათ, რომ თითოეულმა მათგანმა თავი იგრძნოს ჯგუფის ნაწილად. თქვენ შეგიძლიათ იმღეროთ „მოდი, მივესალმოთ მეგობრებს“:

ჩვენ ბედნიერები ვართ, სალი რომ აქ არის,

ჩვენ ბედნიერები ვართ, სალი რომ აქ არის,

მოდი, ტაში დავუკრათ, გავუღიმოთ და მივესალმოთ მას,

ჩვენ ბედნიერები ვართ, სალი რომ აქ არის.

მეგობრები ეხმარებიან ბავშვებს სხვა ადამიანებთან კარგი ურთიერთობის დამყარებაში

სოციალური უნარები ქცევებია, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანებს შორის დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ბავშვებში ძირითადი სოციალური უნარ-ჩვევების მაგალითებია: გაზიარება, შენაცვლება, დახმარება და კომუნიკაცია. ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით ზოგ ბავშვს სხვებზე უკეთესი უნარ-ჩვევები აქვთ. არ არის გასაკვირი, ბავშვებს, რომლებსაც ცუდი სოციალური უნარები აქვთ, ხშირად უჭირთ სხვა ბავშვებთან შეწყობა. როცა თანატოლების ჯგუფში არის ისეთი ბავშვი, რომელსაც უკეთესი სოციალური უნარ-ჩვევები აქვს, უფრო ნაკლები უნარ-ჩვევების მქონე ბავშვს უადვილდება თამაშებში ჩართვა. „მიტოვებული“ ბავშვებიც კი,

რომლებსაც ახლო მეგობრები ჰყავთ, უკეთესად სწავლობენ სოციალურ უნარებს, ვიდრე ასეთი ბავშვები მეგობრების გარეშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეგობრებს შორის ურთიერთობები სოციალური უნარების შეთვისებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობებია.

პრაქტიკული რჩევები

ამიტომაც გვაქვს თეატრალური სათამაშო ზონა!

ბავშვები თითებზე ითვლიან, რადგან მათ ჯერ კიდევ არ შეუძლიათ გონებაში დათვლა. ისინი იმავეს აკეთებენ სხვისი პერსპექტივის აღქმის შემთხვევაშიც. როცა მათ სხვების პერსპექტივის „საკუთარ გონებაში აღქმა“ არ შეუძლიათ, მათ შეიძლება სხვების როლის სათამაშოდ თეატრალური სათამაშო ზონა გამოიყენონ. ხანდახან ბავშვის ეს ქმედება აშკარაა. თქვენ შეიძლება დაინახოთ, როგორ იმეორებს აღელვებული სკოლამდელი ასაკის ბავშვი ოჯახურ კამათს და სხვადასხვა როლს ირგებს. ამ გზით სკოლამდელი ასაკის ბავშვი ხვდება, კამათის დროს რას გრძნობდა თითოეული ადამიანი. ბავშვი, როცა ამას აკეთებს, ძალისხმევას არ იშურებს, გაერკვეს სიტუაციაში.

ბავშვის ფსიქოთერაპევტი ხშირად იყენებს თეატრალურ თამაშს ბავშვებისათვის ოჯახურ პრობლემების გაგებაში დასახმარებლად. თეატრალური სათამაშო კუთხე სოციალური ურთიერთობების სასწავლო ცენტრია. წაახალისეთ ბავშვები, მეტი დრო გაატარონ ამ ცენტრში და ხელი შეუწყვეთ რომ სხვადასხვა როლები მოირგონ.

განხილვასა და მოლაპარაკებას, რაც თამაშის დროს ხდება, მივყავართ უფრო რთულ სიტუაციებში როლების შესრულებასთან. რადგან მეგობრებს სურთ ურთიერთობის შენარჩუნება, ისინი მოტივირებული არიან, ისწავლონ სოციალური უნარები, როგორიცაა გაზიარება, მოლაპარაკება, კოოპერაცია და კონფლიქტის მოგვარება. მეგობრობა ემოციურად საიმედოა ბავშვისთვის, ამიტომ ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს, როცა ერთმანეთს არ ეთანხმებიან და სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ. ამას ისინი უფრო რთული მოსაზრებების ჩამოყალიბებამდე მიჰყავთ. მეგობრობა სასარგებლოა ბავშვებისათვის, რადგან ის რთულ და გამოწვევებით სავსე გამოცდილებას აძლევს ბავშვს, რაც ხელს უწყობს მის სოციალურ, ემოციურ და ცნობიერ განვითარებას.

პრაქტიკული რჩევები

როგორ დავეხმაროთ ბავშვს სოციალური და ემოციური გამოხატვის უნარის ზრდაში

ემოციური გამოხატვის უნარი არის მნიშვნელოვანი საფუძველი ბავშვების შესაძლებლობისა, გამოიკვლიოს, ისწავლოს და ეფექტური ურთიერთობა დაამყაროს სხვებთან. ემოციური გამოხატვის უნარი მოიცავს როგორც საკუთარი, ისე სხვების განსხვავებული ემოციური მდგომარეობის გაცნობიერებას. მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ჩვენ შეგვიძლია ბავშვის გრძნობას სახელი დავარქვათ: „მოწყენილი ხარ, რადგან მამა უნდა წავიდეს“.

ჩვენ შეგვიძლია აღვწეროთ ჩვენ გრძნობები: „იმედგაცრუებული ვარ, რადგან ეს ქილა ვერ გავხსენი“.

ჩვენ შეგვიძლია განვმარტოთ და გამოვხატოთ ბავშვის გრძნობები: „მიამ დაიკივლა, შენ რომ სწრაფად მორბოდი, შეეშინდა“.

ჩვენ შეგვიძლია ემპათია გამოვხატოთ და პატივი ვცეთ სხვების გრძნობებს: „მე ვიცი, რომ გინდა გარეთ დარჩე და ითამაშო. ძალიან კარგი დილაა. მაგრამ ჩვენ უნდა შევიდეთ ჯგუფში და ვისადილოთ“; „დაინახე, რომ ჰექტორი გულნატკენი იყო, ამიტომ მიეცი თავისი დათუნია, შენ მას დამშვიდებაში დაეხმარე“.

ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ და ხელი შევუწყოთ პროსოციალურ ქცევას: „დადე კუბები, ჩვენ გარეთ უნდა გავიდეთ და ვითამაშოთ“; „დაინახე, რომ ნიკიმ ქუდი დააგდო ძირს და შენ მას ქუდი დაუბრუნე, ეს ძალიან კარგია“; „შონს ველოსიპედი რომ დაუთმე, კარგია. შენ კარგი მეგობარი ხარ“.

მეგობრობა ეხმარება ბავშვებს, შეითვისოს პროსოციალური ქცევები და ალტრუისტული ღირებულებები

მეგობრობა ნამდვილად აუცილებელია ბავშვისათვის, რომ სწორად გაიგოს და იზრუნოს სხვა ადამიანების ფიქრებსა და გრძნობებზე. მშობლები და მასწავლებლები ბავშვებს ასწავლიან სხვის გრძნობებზე ზრუნვის აუცილებლობას, მაგრამ მეგობრობა მათ ამ გრძნობის გამოცდილების საფუძველზე განვითარების შესაძლებლობას აძლევს. მყარი მეგობრობა პროსოციალური ქცევის არსია (ეს არის სხვა ადამიანების კეთილდღეობისაკენ მიმართული ნებაყოფლობითი ქცევა). რეალურად, მეგობრობა პროსოციალურ ურთიერთობებს კიდევ უფრო ავითარებს. მეგობრობის წყალობით

ბავშვებს უვითარდებათ ალტრუისტული ღირებულებები _ პროსოციალური ქცევა, რომელიც მოტივირებულია სხვების ინტერესებით და არა პირადი ჯილდოს მოლოდინით. როგორ ახერხებს ამას ადამიანი?

როცა ზრდასრული ასაკის ადამიანი ბავშვთან ურთიერთობს, ის ბავშვისთვის ავტორიტეტია. ბავშვები უმეტესწილად ხვდებიან, რომ მათ უნდა მოუსმინონ უფროსებს და დაუთმონ მათ. ისინი იშვიათად სწავლობენ ალტრუისტულ ფასეულობებს უფროსებისთვის მოვალეობის მოხდის მიზნით რამის გაკეთებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს ბავშვის პროსოციალური ქცევის განვითარებაში უფროსის როლის მნიშვნელობის შემცირებას. უფროსები აჩვენებენ ბავშვებს, როგორ და როდის უნდა იმოქმედონ პროსოციალურად. თანატოლებს შორის ურთიერთობა, მეორე მხრივ, ასწავლის ბავშვებს, გამოიყენონ ის პროსოციალური ქცევები იმიტომ, რომ მათ ეს სურთ და არა იმიტომ, რომ მათ უყურებენ როგორც ზრდასრულებს. მაგრამ რატომ ხდება ეს?

ზრდასრული ასაკის ადამიანებსა და მეგობრებთან ურთიერთობისას ბავშვების მოტივაცია განსხვავებულია. ერთ-ერთ კვლევაში მკვლევრები ჯგუფში თვრამეტი კვირის განმავლობაში აკვირდებოდნენ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს. ისინი დაინტერესდნენ ბავშვებს აეხსნათ, თუ რატომ ასრულებდნენ უფროსისა და ბავშვის თხოვნებს. მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება სთხოვოს ბავშვს, დაასუფთაოს, ან მეგობარმა შეიძლება სთხოვოს, სათამაშო ათხოვოს. როცა ამ ქმედებებს აკვირდებოდნენ, მკვლევრები ეკითხებოდნენ ბავშვებს, რატომ ასრულებდნენ თხოვნებს. მათ აღმოაჩინეს, როცა თხოვნა უფროსებისაგან მოდიოდა, ბავშვები პროსოციალური ქმედების მიზეზად მასწავლებლის ძალასა და ავტორიტეტს ასახელებდნენ („მე უნდა გავაკეთო, რასაც მასწავლებელი მთხოვს“). ამის საპირისპიროდ, ბავშვების მოთხოვნების შესრულების მიზეზი ეფუძნებოდა მეორე ბავშვის გრძნობების აღქმას ან იმას, რომ მათი მეგობრობა მნიშვნელოვანი იყო ბავშვისთვის („რადგან მე მიყვარს ჯოუზი“). თხოვნების შესრულების მოტივაციებს შორის სხვაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეგობრებს შორის უთანხმოების კონტექსტში.

გრძნობებისთვის სახელის დარქმევა

რა დავინახეთ

თამაშისა და ცეკვის შემდეგ მასწავლებელმა ბავშვებს ჰკითხა, თუ რომელი ცეკვა მოსწონდათ. ისინი აქტიურობასა და წყნარად ყოფნას შორის განსხვავებაზე მსჯელობდნენ. მასწავლებელმა ბავშვებს ჰკითხა: „ახლა რას გრძნობთ?“ ერთი ბავშვი

წამოხტა და დაიყვირა: „მე ძალიან კარგად ვგრძნობ თავს!“ მეორე ბავშვმა უპასუხა: „დავიღალე“. მასწავლებელმა შემდეგ იკითხა: „როგორ ფიქრობთ, ჯილი როგორ გრძნობს თავს?“ რამდენიმე ბავშვმა უპასუხა: „მოწყენილია“. მასწავლებელმა იკითხა: „რა იცით, რომ მოწყენილია?“ ერთმა ბავშვმა უპასუხა: „სახე ცრემლებით აქვს სველი“, მეორემ თქვა: „ტირის“. მასწავლებელმა განაგრძო: „როგორ ფიქრობთ, რატომ მოიწყინა?“ ერთმა ბავშვმა უპასუხა: „მას უნდოდა, რომ ვინმესთან ეცეკვა“. „მართალია, _ თქვა მასწავლებელმა, _ მას სურდა მერისთან ეცეკვა, მაგრამ მერის მარტო ცეკვა უნდოდა“. ბავშვები შემოეხვივნენ ჯილის და მოეფერნენ. მალე ჯგუფი შემდეგი აქტივობის შესრულებაზე გადავიდა.

რას ნიშნავს

სხვა ადამიანებზე დაკვირვება და მათი გრძნობების გაგება ბავშვებმა აუცილებლად უნდა ისწავლონ. ეს ჭკვიანი მასწავლებელი ბავშვებს პროსოციალურ ქცევაში სასწავლო პროცესში მიმდინარე აქტივობების საფუძველზე ავარჯიშებს („სასწავლო მომენტები“). სხვისი გრძნობების გაგების უნარის განვითარების შედეგად ბავშვები, სავარაუდოდ, უფრო მეტად იმოქმედებენ პროსოციალურად ისე, როგორც ჯგუფმა გააკეთა ჯილის დასაწყნარებლად.

მეგობრებსაც, ისევე როგორც არამეგობრებს, ხშირად მოსდით უთანხმოება. ფაქტობრივად, პატარა მეგობრები კიდევ უფრო ხშირად ვერ თანხმდებიან! თუმცა მეგობრები კონფლიქტს სხვადასხვაგვარად უმკლავდებიან. მკვლევართა ერთი ჯგუფი კონფლიქტის დროს დააკვირდა სკოლამდელი ასაკის ბავშვებს. განსხვავება აშკარა იყო: მეგობრებს შორის კონფლიქტი არ მწვავდებოდა. ისინი უფრო მეტად მიდიოდნენ კომპრომისზე და უფრო მეტი ალბათობით იწყებდნენ ერთად თამაშს კონფლიქტის შემდეგ.

ბავშვები თამაშის დროს მოლაპარაკების შემთხვევაში, კერძოდ, კონფლიქტის დროს, ცდილობენ, გაიგონ სხვა ადამიანის აზრები და გრძნობები. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი უნარ-ჩვევა სოციალურ უნარ-ჩვევებს შორის. თამაშის დროს ბავშვები ხშირად ივიწყებენ თავიანთ მოთხოვნილებებს და კომპრომისზე მიდიან მეგობართან, რადგან მათ ძალიან უნდათ მეგობრობის შენარჩუნება. მხედველობაში მიიღეთ პატარა ბავშვების ამ მიღწევების სირთულეები და მნიშვნელობა:

- სხვა ადამიანის აზრებისა და გრძნობების გაგების ინტელექტუალური უნარი.
- ალტრუისტული სურვილი, შეაფასოს სხვისი გრძნობები.

- კონფლიქტის მოსაგვარებლად პროსოციალური უნარ-ჩვევები, რისი შედეგიცაა კონფლიქტის ორმხრივად გადაწყვეტა.

ეს მიღწევები მოიპოვება მეგობრობის სოციალური კონტექსტის ფარგლებში. მეგობრობის შენარჩუნების სურვილი აძლევს მათ მოტივაციას, იშრომონ ამ უნარ-ჩვევების შესათვისებლად. ბავშვის პროსოციალურად ფიქრი და მოქცევა უფრო ნაკლებად სავარაუდოა, როცა მას თანასწორთან აქვს ურთიერთობა, ვიდრე ზრდასრულ ავტორიტეტულ ფიგურასთან.

ბავშვების პროსოციალური ქცევის განვითარება და მეგობრობა წრიული პროცესია: პროსოციალურ ქცევას მეგობრობამდე მივყავართ და მეგობრობა პროსოციალური ქცევის კონტექსტია. ბავშვები, რომლებიც პროსოციალურად იქცევიან, სასურველი პარტნიორები არიან თამაშის დროს, რადგან მათ შეუძლიათ მოლაპარაკება და კომპრომისზე წასვლა. თუ ორი ბავშვი ერთად წარმატებით თამაშობდა ადრე, ისინი ერთმანეთის მოძებნას განაგრძობენ სათამაშოდ. ყოველი ბავშვის პროსოციალური ქცევა ურთიერთობის თითოეულ აგურს დებს, რაც საბოლოოდ მეგობრობად გარდაიქმნება. პროსოციალური ქცევა ხელს უწყობს ურთიერთობის შენარჩუნებას და მეგობრობა ბავშვებს აძლევს პროსოციალური უნარ-ჩვევების უკეთესად განვითარების საფუძველს. როცა ბავშვებს მეგობრობაში პრობლემების გადაჭრის, მოლაპარაკებისა და კომპრომისის გამოცდილება დაუგროვდებათ, ისინი უფრო მეტად იზრუნებენ სხვის ფიქრებსა და ემოციებზე, ეს კი ხელს უწყობს ალტრუისტული ფასეულობების განვითარებას.

პრაქტიკული რჩევები

ვისაუბროთ პერსპექტივის შესახებ

მასწავლებელს შეუძლია ბავშვებს სხვადასხვა სახის პერსპექტივა უჩვენოს: „იციან ბავშვებმა, რა გვაქვს მაგიდაზე? ისინი ვერ ხედავენ, არა?“ ენის დაკავშირება ბავშვის ქცევასა და გამოცდილებასთან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ენის განვითარებისათვის, ასევე ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, როგორიცაა სხვისი პერსპექტივის აღქმა.

მასწავლებელი ყველაზე ადვილად ბავშვების უნარ-ჩვევებს მათთვის წიგნის კითხვის დროს ავარჯიშებს. „შეხედე ამ სურათს. ხუანი ვერ ხედავს ენოტს თავის უკან. როგორ ფიქრობთ, ხუანს ეშინია? არა, ჯერ არა, მაგრამ ახლა შევხედოთ ამ სურათს, სადაც ის შემობრუნდება და ენოტს დაინახავს. როგორ გრძნობს ხუანი თავს ახლა?“

საუკეთესო მასწავლებლები ამასვე აკეთებენ ჯგუფში მიმდინარე სოციალური ურთიერთობების დროს: „სარა, ეს ჯენია და ის ახალია ჩვენთან. ის ჯერ არავის იცნობს, როგორ ფიქრობ, რას გრძნობს? რა შეგიძლია გააკეთო, თავი რომ უკეთესად იგრძნოს?“ ან „სემ, შენ ის საღებავი აიღე, რომლის აღების რიგსაც ერიკი ელოდებოდა. რას გრძნობს ერიკი ახლა?“

პროსოციალური ქცევის ფსიქოლოგია

ბავშვებთან მუშაობისას ჩვენ ვცდილობთ, გვახსოვდეს, რომ თითოეულ ბავშვს განსხვავებული უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები აქვს, რაც გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ შეძლებს სწავლას. მაგალითად, მაკრატლის გამოყენების სწავლება ძნელია პატარა ბავშვისთვის და ჩვენი მიდგომა, თუ როგორ დავეხმარებით მომთმენ, დაფიქრებულ ბავშვსა და იმპულსურ, იმედგაცრუებულ ბავშვს შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს. იგივე შეიძლება ითქვას, როცა ბავშვებს ვასწავლით, როგორ და რატომ უნდა მოიქცნენ პროსოციალურად (და საბოლოოდ, მეგობრულად). ერთ-ერთი ძირითადი გზა, რითაც ბავშვები განსხვავდებიან _ რაც ძლიერ გავლენას ახდენს მათ ურთიერთობაზე თანატოლებთან _ არის სხვისი პერსპექტივის აღქმის უნარი.

პერსპექტივის აღქმა და პროსოციალური ქცევა

დაბადების მეორე წლიდან ბავშვების უნარი, გაიგონ სხვების შეხედულებები, თანდათან უმჯობესდება. როგორც აღვნიშნეთ, ეს უნარ-ჩვევები მეგობრობის ძირითადი საფუძველია. როცა ბავშვებს აქვთ პერსპექტივის აღქმის უნარი, ისინი უფრო მეტად იქცევიან პროსოციალურად.

ბავშვების პერსპექტივის აღქმის უნარზე დაკვირვების ერთ-ერთი საშუალებაა, ჰკითხო მათ სხვა ადამიანის შეხედულებების შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობილი ექსპერიმენტის დროს ბავშვი ზის მაგიდასთან, რომლის ცენტრში დგას სხვადასხვა ფერისა და ზომის სამი მთა. მას შეუძლია ადვილად აირჩიოს ფოტო, რომელზედაც მთები ისე არის აღბეჭდილი, როგორც მას ხედავს ბავშვი. შემდეგ ბავშვს სთხოვეს, ამოერჩია ფოტო, რომელზეც გამოსახულია მთები, როგორც მას მაგიდის მეორე მხარეს დასმული თოჯინა დაინახავდა. ამ კითხვას სწორად რომ უპასუხოს, ბავშვი სხვის თვალთახედვას უნდა მიხვდეს. როცა ბავშვებს ჰკითხეს, რას ხედავს თოჯინა, სამი წლის ბავშვების უმეტესობამ (და ოთხი წლის ბავშვების ერთმა მესამედმა) უპასუხა ის, რასაც თვითონ ხედავდა. თუმცა ბავშვებს ამ ცდაში უკეთესი

შედეგები ჰქონდათ, როცა ნაცნობი მასალა გამოიყენებოდა, თუმცა, მათი უმეტესობა მაინც ვერ ხვდებოდა, რომ სხვა ადამიანები საგნებს განსხვავებულად ხედავდნენ.

პრაქტიკული რჩევები

ბავშვებისთვის წიგნის წაკითხვა პერსპექტივის აღქმის საუკეთესო საშუალებაა

ამოარჩიე ისეთი მოთხრობები, სადაც აღწერილი იქნება, როგორ ექცევიან ბავშვები ერთმანეთს პატივისცემითა და კეთილად. წაუკითხეთ ეს მოთხრობები ინდივიდუალურად და პატარა ჯგუფებში. მოთხრობების კითხვის დროს:

- ისაუბრეთ პერსონაჟების ემოციების შესახებ.
- ბავშვებს ჰკითხეთ, როგორ ფიქრობენ, რას გრძნობენ პერსონაჟები.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რისი გაკეთება შეიძლებოდა, პერსონაჟს თავი უკეთესად რომ ეგრძნო.

სხვისი პერსპექტივის აღქმის უნარ-ჩვევა არ ჩნდება ბუნებრივად. ყველა ჩვილი თავიდან ეგოცენტრიკია და ფიქრობს, რომ სხვებიც ისე ხედავენ საგნებს, როგორც თვითონ. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არიან ცუდები ან ეგოისტები, მათ მხოლოდ სწავლა სჭირდებათ. პატარა ბავშვი თანდათან თავისუფლდება ეგოცენტრიზმისაგან, როცა მისი უნარი, დაინახოს სხვების შეხედულებები, უმჯობესდება. ერთი ადამიანის შეხედულების მეორისაგან გარჩევა პროსოციალური ქცევისკენ მიმართული საჭირო ნაბიჯია.

პრაქტიკული რჩევები

რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა მეგობრობის ხელის შეწყობის მიზნით განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებში?

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, ჩვეულებრივ, უფრო ნაკლები მეგობარი ჰყავთ ბაგა-ბაღში. მათ დასახმარებლად მასწავლებლებმა აქტიურად უნდა იმოქმედონ. ერთ-ერთი კვლევისას მკვლევრები აკვირდებოდნენ, რა საშუალებებით ცდილობდნენ, დახმარებოდნენ მასწავლებლები ბავშვებს მეგობრების გაჩენაში ჯგუფში, სადაც განსაკუთრებული საჭიროებების ბავშვი იყო. მასწავლებლებში ყველაზე გავრცელებული სტრატეგიები იყო:

- მეგობრების თამაშზე კომენტარების გაკეთება.

- ბავშვების ერთად თამაშის ხელშეწყობის მიზნით მათი ჩართვა სპეციალურ თამაშობებში ან სპეციალური ნივთებით უზრუნველყოფა.
- ბავშვთან იმგვარად საუბარი ან მისი ლაპარაკის განმარტება, რომ მისმა მეგობარმა გაიგოს.
- ორი მეგობრის ერთად თამაშის წახალისება.

ზოგიერთი აქტივობა განსაკუთრებით კარგია ბავშვებს შორის მეგობრობისთვის ხელის შესაწყობად. ერთ-ერთ ინკლუზიურ ჯგუფში დამკვირვებლებმა ვიდეოფირზე აღბეჭდეს სკოლამდელი ასაკის ბავშვების სოციალური ურთიერთობა სამი აქტივობის დროს: თეატრალური დადგმის, ლანჩისა და კომპიუტერის გამოყენების დროს. მკვლევრების გასაკვირად, ბავშვებში ლაპარაკისა და გაზიარების ხელის შეწყობის მიზნით კომპიუტერიც ისევე კარგი აქტივობა იყო, როგორც დანარჩენი ორი. როცა კომპიუტერთან თამაშის დროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს თანაჯგუფელთან აწყვილებდნენ, მათ ორჯერ მეტი სოციალური ურთიერთობა ჰქონდათ, ვიდრე ლანჩისა და თეატრალური დადგმის დროს! მთავარი იყო ბავშვების *დაწყვილება* კომპიუტერთან, რადგან კომპიუტერული თამაშის დროს საჭირო იყო ორივეს ერთად ქმედება და არა მონაცვლეობით.

მცდარი პრაქტიკა

სწავლების შანსის უქონლობა

რა დავინახეთ

მაშა მიდის თეატრალური დადგმის ზონასთან და ამბობს: „მე მინდა წითელი ფეხსაცმელების ჩაცმა“. ენი, რომელსაც ეს ფეხსაცმელები აცვია, პასუხობს: „ახლა ჩემი ჯერია, მე მაცვია, წადი აქედან“. ტაშა ჩაეჭიდება ფეხსაცმელს, ენი კი ყვირის: „მასწავლებელო!“ მაშა ჯდება იატაკზე და ატირდება. მასწავლებელი ეუბნება მას: „მომეხვიე, მაშა, ახლა წადი და სხვა რამ გააკეთე“.

რატომ არ გამოდგება

მასწავლებელი არ აფასებს მაშას გრძნობებს ან ვერ ეხმარება მაშას, რომელსაც ბავშვებთან თამაშში ჩართვის სოციალური უნარი არ გააჩნია.

რატომ ვხედავთ ამას

მტირალი ბავშვები სხვების განერვიულებას იწვევენ. ისინი შლიან გაკვეთილს. მასწავლებლებს არ სცალიათ სწრაფად და მარტივად შეაჩერონ მათი ტირილი. მაგრამ ბავშვის ჩახუტება და რჩევა, რომ სხვა გასართობი მოძებნოს, ვერ დაეხმარება მას, მეგობრები გაიჩინოს ან ისწავლოს თავისი ემოციებისა და ქცევის მართვა.

რა იქნებოდა უკეთესი

ეს იყო ისეთი შემთხვევა, სადაც ბავშვისთვის სწავლება შეიძლებოდა. მასწავლებელს უნდა შეეფასებინა და სახელი უნდა დაერქმია მაშას ემოციებისათვის. „მაშა, შენ იმედი გაგიცრუვდა, რადგან ის წითელი ფეხსაცმელები გინდოდა, მოდი, მოვძებნოთ სხვა ფეხსაცმელები, ან ენს ვთხოვოთ, შემდეგ შენ დაგითმოს ისინი“.

ემოციები და პროსოციალური ქცევა

ემოციები მნიშვნელოვანი როლს ასრულებს ბავშვების პროსოციალური ქცევისა და ალტრუისტული მოტივაციის განვითარებაში. მაგალითად, როცა ვხედავთ, რომ ბავშვი ეცემა და მუხლს იკაწრავს, განვიცდით. სხვა ადამიანის ემოციების განცდას ემპათია ეწოდება. ემპათია პერსპექტივის აღქმის ერთ-ერთი ფორმაა, რომელშიც ჩართულია ემოციური რეაგირება. როგორი ემოციური რეაგირება ექნება ბავშვს, გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორი იქნება მისი პროსოციალური ქმედება. ჩვეულებრივ, ჩვენ ემოციურ განცდებს განზე ვდებთ და ბავშვის განცდას ჩვენსაზე წინ ვაყენებთ. ამ განცდას მივყავართ ბავშვის დამშვიდებამდე.

ემოციების მართვის უნარი, რომელსაც თვითრეგულირება ეწოდება, ბავშვებს ეხმარება, ერთმანეთს კარგად შეეწყონ. მაგალითად, დეიმონსა და ალისიას ერთი ველოსიპედით სეირნობა სურთ სათამაშო მოედანზე. თუმცა დეიმონს არ მოეწონა, რომ ის პირველი ვერ ისეირნებდა ველოსიპედით, მაინც დაუთმო ალისიას. მან იცის, რომ შემდეგი თვითონ იქნება. ტკივილის მიყენება ჩვეულებრივია პატარა ბავშვების კონფლიქტის დროს. ისევე როგორც ემპათიურ განცდებთან მიმართებაში, ბავშვებს, რომლებსაც შეუძლიათ თავისი ემოციების მართვა კონფლიქტის დროს, უფრო ადვილად შეუძლიათ გაზიარება და თანამშრომლობა. იმის ცოდნა, რამდენად შეუძლიათ ბავშვებს თავისი სურვილებისა და ემოციის მართვა, გვეხმარება, გავიგოთ, როგორ და სად ჩავერიოთ.

პრაქტიკული რჩევები

ხარაჩოების აგების მეთოდი

ხარაჩოების აგება მნიშვნელოვანი სწავლების მეთოდია, რაც ნიშნავს ბავშვების დახმარებას, უკეთესად მოიქცნენ. ნებისმიერ დროს, როცა პრობლემის გადაწყვეტის გზას ვთავაზობთ ბავშვს, ჩვენ ვიყენებთ ხარაჩოების აგების მეთოდს. „შეგიძლიათ ეს დროის საზომი გამოიყენოთ შენაცვლებისათვს, როდესაც ქვიშა ჩაიცლება სათამასოები გაცვალეთ“ ან „ჯეისონ, ცარიელ კალათს თუ მოგვიტან, ძალიან დაგვეხმარები“.

ჩვენ ასევე ვიყენებთ ხარაჩოს აგების მეთოდს, როცა ბავშვს *ვთხოვთ* რჩევას: „შანა და მარია, შეგიძლიათ მითხრათ, როგორ უნდა შეენაცვლოთ ერთმანეთს ვაგონით თამაშის დროს?“ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი გზას ვერ იპოვიან, ჩვენ ჩვენს უფლებებს არ გამოვიყენებთ. იმაზე მეტს არაფერს გავაკეთებთ, ვიდრე მათი უნარისათვის ხელის შეწყობაა. მას შემდეგ, რაც თვითონვე ისწავლიან უთანხმოების მოგვარებას, შანასა და მარიას რჩევა ნაკლებად დასჭირდებათ. იმის ცოდნა, რამდენად დაგვჭირდება ხარაჩოების აგების მეთოდი, ბავშვებზე კარგად დაკვირვებასა და მათი უნარების შესწავლას მოითხოვს (ყველა კარგი სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია და დაკვირვებით იწყება).

ბავშვთან ყურადღებიანი და რეაგირებადი ურთიერთობის ჩამოყალიბება

ერთ-ერთმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ბავშვები, რომელთა მშობლები თბილი, რეაგირებადი ადამიანები არიან და შვილებთან ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ, უფრო მეტად უყვართ სხვა ბავშვებს. ამის საპირისპიროდ, ბავშვებს თანატოლებთან ურთიერთობაში პრობლემები აქვთ, როცა მშობლებთან მათი ურთიერთობა რთულია და მათ მეტისმეტად აკონტროლებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობა, რომელიც გულისხმობს ერთიმეორის მოსმენას, თანამშრომლობასა და ურთიერთსიამოვნებას, სხვებთან ურთიერთობის მაგალითად გადაიქცევა.

ბაგა-ბაღის გარემოში ბავშვებთან თბილი ურთიერთობა ზრდის სწავლების სტრატეგიის ეფექტურობას. ბავშვი ფიქრობს, „მე მნიშვნელოვანი ვარ შენთვის. რასაც შენ მეტყვი და მთხოვ, გავაკეთო, მნიშვნელოვანი იქნება და მე მოგისმენ“.

მცდარი პრაქტიკა

არასაკმარისი კონკრეტულობა

რა დავინახეთ

მასწავლებლები იმედგაცრუებულ და გაბრაზებულ პატარებს ხშირად ეუბნებიან: „შენ თითონ უთხარი“. მაგრამ ხანდახან ბავშვმა არ იცის, რომელი სიტყვა გამოიყენოს!

რა იქნებოდა უკეთესი

ხანდახან საჭიროა ვასწავლოთ შესაფერისი სიტყვები: „მიას უთხარი, რომ არ მოგწონს, როცა ხელს გკარავს“ ან „ლეილას სთხოვე, იქნებ ფერადი ცარცი გათხოვოს“.

მცდარი პრაქტიკა

ჯილდოსთვის მეტისმეტი ყურადღების მინიჭება

რა დავინახეთ

პროსოციალური ქცევისათვის დაჯილდოება ბევრი ბავშვის შემთხვევაში შეიძლება აუცილებელი პირველი ნაბიჯი იყოს. მაგრამ თუ სტიკერის ჩუქება ან შექებაც კი ჭარბად გამოვიყენეთ, ბავშვი პროსოციალურად მხოლოდ ჯილდოს მისაღებად მოიქცევა. რადგან ბავშვის მეტისმეტად დაჯილდოებამ შეიძლება ხელი შეუშალოს ალტრუიზმის განვითარებას, ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ჯილდოების გამოყენება, როგორც კი ბავშვის უნარები გაუმჯობესდება.

რა იქნებოდა უკეთესი

ჯილდოების ნაცვლად გამოიყენეთ მიზეზ-შედეგობრივი მტკიცება: „როცა კიმი შეგცვლის თამაშში, მას ძალიან გაუხარდება“. ან გამოიყენეთ პროსოციალური ქცევის შინაგანი ჯილდოები ისე, რომ ბავშვებმა თვითდაჯილდოებულად იგრძნონ თავი: „როცა შენი პრობლემა თავად გადაჭერი, მიხვდი, რომ უკვე გაიზარდე“.

სოციალური ურთიერთობის მოდელირება

მოდელირება ნიშნავს ისეთ ქმედებას, როგორი ქცევაც გვინდა, ბავშვებმა ისწავლონ ჩვენი დაკვირვებით. მაგალითად, როცა ვხატავთ, ჩვენ შეგვიძლია ბავშვს ვთხოვოთ: „შეგიძლია, მომაწოდო ლურჯი ცარცი?“ დროთა განმავლობაში ისინი მიჰბაძავენ ჩვენს ზრდილობიან ქცევას. როცა ვთამაშობთ, ჩვენ თანამშრომლობის მოდელირებაც შეგვიძლია: „შენ პირველი იყავი და შენ შემდეგ მე ვიქნები“.

სოციალურად შესაფერისი ქცევისთვის ხელის შეწყობა

კარგი ქცევის ხელის შეწყობით ბავშვები მიხვდებიან, თუ რა ტიპის ქცევას ვაფასებთ. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია მათ ვუთხრათ: „თუ სათამაშოთი ორივე ითამაშებთ, ორივე კმაყოფილი დარჩებით“. ხშირად ბავშვები არ აქცევენ ყურადღებას, როდის უზიარებენ სათამაშოს ან ენაცვლებიან ერთმანეთს, ან სხვა მხრივ როგორ იყენებენ სოციალურ ქცევებს. ამ ქცევებსა და მისი შედეგებზე მინიშნებით, ჩვენ მათ დავეხმარებით, უფრო მეტად გააცნობიერონ პროსოციალური უნარები. ისინი მათ უფრო გაცნობიერებულად გამოიყენებენ.

პრაქტიკული რჩევები

მარიონეტებისა და თოჯინების გამოყენება პროსოციალური ქცევების შესასწავლად

თოჯინები, მარიონეტები, პლუშის ცხოველები და სათამაშო ფიგურები საუკეთესო საშუალებებია პატარა ასაკის ბავშვებისთვის სოციალური უნარ-ჩვევების დემონსტრირებისათვის. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ეს რეკვიზიტები, რათა გაითამაშოთ სცენარი ჯგუფში ბავშვების პრობლემატური ქცევის ან იმ ამბის შესახებ, რაც ერთ ან რამდენიმე ბავშვს გადახდენია ცხოვრებაში. მარიონეტები და თოჯინები ეხმარებიან ბავშვებს, ახლებურად დაინახონ სიტუაცია. მათ უტყვი თოჯინები პრობლემის გადაწყვეტის შესახებ დისკუსიის საშუალებას აძლევს. მაგალითად, თუ თქვენს ჯგუფში ბავშვებს სათამაშოების განაწილების პრობლემა აქვთ, თქვენ იგივე სიტუაცია უნდა გაითამაშოთ პლუშის ცხოველების გამოყენებით. აი, მაგალითიც: სპარკი თამაშობს ბურთით, რომელიც კიტიმ მოიტანა სახლიდან. კიტიმ დაინახა და ყვირილით გაედევნა: „ჩემია, დამიბრუნე“ როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდა კიტი? რას გრძნობდა სპარკი? გაქვთ რამე მოსაზრება, თუ როგორ უნდა მოაგვარონ მათ ეს საქმე? (უფრო მეტი იდეებისათვის ამ ტექნიკის გამოსაყენებლად იხილეთ Trisha Witney, Kids Like Us: Using Persona Doll in the Classroom [Redleaf Press,1999]).

ბავშვებისათვის სწავლება, თუ როგორ შეინარჩუნონ სიმშვიდე

როგორც ადრე განვიხილეთ, თანატოლებს შორის კონფლიქტი ძლიერ ემოციურ რეაქციებს იწვევს, განსაკუთრებით პატარა ასაკის ბავშვებში, რომლებიც ახლა იწყებენ სოციალური უნარების განვითარებას თანატოლებთან. ამ ბავშვთაგან ბევრმა არ იცის, როგორ მართოს იმედგაცრუებისა და სიბრაზის განცდა. ამ გრძნობამ მას შეიძლება სხვისთვის დარტყმისკენ ან აურზაურის ატეხისკენ უბიძგოს. ამ სიტუაციებში ჩვენ შეგვიძლია ვასწავლოთ ბავშვებს სტრატეგიები, თუ როგორ შეინარჩუნონ სიმშვიდე (იხ. თავი 3 თვითრეგულირების შესახებ). ყოველთვის დაგვეხმარება, თუ

გავახმოვანებთ ბავშვების შთაბეჭდილებებს, თუ რას გრძნობენ და რატომ გრძნობენ ასე თავს. ეს სიტუაციას მაშინვე გახდის გასაგებსა და ადვილად მოსაგვარებელს. შემდეგ შეგვიძლია სტრატეგიები შევთავაზოთ პრობლემების გადასაწყვეტად ან იმ სიტუაციიდან ყურადღების გადასატანად, რისი გადაწყვეტაც ვერ მოხერხდა. ბავშვებში პერსპექტივის აღქმის უნარების გასაძლიერებლად განსაკუთრებით სასარგებლოა შემდეგი ორი სტრატეგია.

ბავშვების დარიგება

დარიგება არის ბავშვებისთვის პროსოციალური ქცევის სწავლების პირდაპირი ფორმა. როცა ჩვენ ვარიგებთ ბავშვებს, ვეხმარებით, დაინახონ სხვადასხვა არჩევანი. უთხარით, რომ შენიშნეთ, როცა მაილსი ხედავს სათამაშოს, რომლითაც სურს თამაში, ის ცდილობს მის აღებას მაშინაც კი, როცა მეორე ბავშვი თამაშობს ამ სათამაშოთი. ის გვერდზე გაიყვანეთ და უთხარით: „რიიკო ისევ თამაშობს იმ ვედროთი. ის ბრაზდება, როცა მის სათამაშოებს იღებ და შენთან თამაში აღარ უნდა, იქნებ ჰკითხო, თუ გათხოვებს? შეგიძლია, სცადო?“ რა თქმა უნდა, ყველა ბავშვთან არ გამოდგება დარიგება, განსაკუთრებით, პატარა ასაკის ბავშვებთან და ის მორგებული უნდა იყოს თითოეული ბავშვის შესაძლებლობას.

იმედისმომცემი პრაქტიკა

სხვის გრძნობებზე ლაპარაკი

რა დავინახეთ

საკლასო ოთახში ორი ბავშვი მასწავლებელს ზაზუნების მოვლაში ეხმარება. მასწავლებელმა ერთ-ერთს სთხოვა, ბოთლიდან წყალი გადაეღვარა და ახალი წყლით აევსო. „მათ უხარიათ, ახალი წყალი რომ აქვთ“, _ უთხრა მასწავლებელმა. როცა მეორე ბავშვმა აიღო მზესუმზირის მარცვლები, მასწავლებელმა უთხრა: „მათ ძალიან უყვართ მზესუმზირა“. მასწავლებელმა შემდეგ სთხოვა ბავშვებს, იატაკზე დამსხდარიყვნენ, ფეხები შეეერთებინათ და წრიული ბარიერი შეექმნათ. მან ზაზუნა დასვა სავარჯიშო პლასტიკურ ბურთში და წრეში ჩასვა. ერთმა ბავშვმა იკითხა: „რატომ არ მოძრაობს?“ მასწავლებელმა უპასუხა: „მან იცის, რა უნდა გააკეთოს, ის ამ ბურთში ადრეც იჯდა. მან ახლა გაიღვიძა და დაღლილია“. მეორე ბავშვმა თქვა: „შეშინებულია“. მასწავლებელმა უპასუხა: „შეიძლება მართლაც ცოტათი ეშინია, რადგან თავისი უსაფრთხო გალიიდან გამოვიყვანეთ“. ზაზუნამ დაიწყო მოძრაობა ბურთში და ბავშვებმა ხითხითი და სიცილი დაიწყეს.

რას ნიშნავს

მასწავლებელმა ზაზუნა გამოიყენა, რომ ბავშვებს დახმარებოდა, გაეგოთ, რას გრძნობს სხვა ცოცხალი არსება, როცა მას შია, სწყურია ან როცა იღვიძებს. ბავშვები სწავლობენ პერსპექტივის აღქმასა და ემპათიას. ამ სიტუაციაში მნიშვნელოვანი იყო არა საკლასო ოთახის ცხოველით გართობა, არამედ მასზე დაკვირვება, იმის წარმოდგენა, თუ რას გრძნობს და მისი გრძნობების სიტყვებით დახასიათება.

ემოციებზე საუბარი

მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ბავშვებთან ემოციებსა და გრძნობებზე საუბარი აძლიერებს მათ მიერ პერსპექტივის აღქმას. ეს იმიტომ ხდება, რომ უფროსები ბავშვების გრძნობებს სახელს არქმევენ („სემი მოწყენილია, რადგან მან ბურთი დაკარგა“), უხსნიან, როგორ გავლენას მოახდენს მათი ქცევა სხვა ადამიანებზე („როცა ანჯელას თმას მოჰქაჩავ, მას ისევე ეტკინება, როგორც შენ რომ მოგქაჩონ“) და ბიძგს აძლევენ, ილაპარაკონ თავიანთ ემოციებსა და მათ მიზეზებზე.

მცდარი პრაქტიკა

არასწორი საქციელის გამოსწორება ბავშვებთან ქცევაზე საუბრის გარეშე

რა დავინახეთ

ოთხი წლის ალექსი სათამაშო მანქანას ართმევს მიკას. მასწავლებელი ჩაერევა, მანქანას წაართმევს ალექსს და დაუბრუნებს მიკას.

რატომ არ გამოდგება

მასწავლებლის ქცევა იმეორებს ბავშვის პრობლემატურ ქცევას _ სათამაშოს წართმევას. ეს ორივე ბავშვს აბრაზებს და მათ პროსოციალურ ქცევას არ ასწავლის.

რატომ ვხედავთ ამ პრაქტიკას

როცა უფროსი ხედავს, რომ ბავშვს სათამაშოს ართმევენ, არაკომფორტულად გრძნობს თავს, რადგან ეს უსამართლობაა. ჩვენ გვინდა არასწორი ქცევის გამოსწორება, მაგრამ თუ ამას გავაკეთებთ, დავკარგავთ იმის შესაძლებლობას, რომ ხელი შევუწყოთ პერსპექტივის ემოციურ აღქმისა და პროსოციალურ უნარ-ჩვევებს.

რა იქნებოდა უკეთესი

აღწერეთ სიტუაცია და მისი ემოციური კონტექსტი. „ალექს, შენ გინდა მანქანა, რომელიც მიკამ გამოგართვა, მაგრამ ამან მიკა გააბრაზა, რადგან მასაც უნდოდა ამ მანქანით თამაში“. ეს ახსნა დაეხმარება ორივე ბავშვს, გაიგოს, რაც მოხდა და

გამოიცნონ ერთმანეთის ემოციური პერსპექტივა. შემდეგ ურჩიეთ უფრო მისაღები ემოციური ქცევა: „იქნებ ალექსს სთხოვო, მანქანა შენკენ გამოაგოროს, შემდეგ შენ გააგორებ მისკენ“. ასეთი რჩევა ბავშვებს საშუალებას მისცემს ერთად ითამაშონ. ეს ხელს უწყობს დადებით სოციალურ ურთიერთობებს და ორივე ბავშვის სურვილს აკმაყოფილებს.

ემოციებისთვის სახელის დარქმევასთან ერთად მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრაც, ქმედება როგორ იწვევს გრძნობებს და პირიქით. კვლევების საფუძველზე გამოირკვა, რომ ზოგიერთი ბავშვი იშვიათად ისმენს შინ შემდეგი სახის წინადადებას: „როცა შენ გააკეთებ [ქმედება], შენი და იგრძნობს [ემოცია]“.[80] ასეთ ბავშვებს პერსპექტივის აღქმის უნარი ნაკლებად აქვთ, როცა ბაღში შედიან და უფრო მეტ სარგებელს ნახულობენ მასწავლებლისაგან ასეთი ახსნის მოსმენით. ასეთი ტიპის უნარ-ჩვევების სწავლა ხელს უწყობს თანატოლებს შორის წარმატებულ ურთიერთობას, რასაც ისინი მეგობრობამდე მიჰყავს.

იმედისმომცემი პრაქტიკა

საშუალების მიცემა ბავშვებისთვის დაუხმარებლად გადაწყვიტონ პრობლემები

რა დავინახეთ

თავისუფალი არჩევანის დროს, ბავშვებს მაგიდაზე დაუდეს ხუთი სინი სათამაშო ცომითა და საოჯახო ჭურჭლით. თავიდან არავინ დაინტერესდა, მაგრამ შემდეგ ექვსი ბავშვი ერთად მივარდა მაგიდასთან. ერთ-ერთ ბავშვს არ შეხვდა სინი ცომისათვის. კორნელიუსმა შეხედა, ერიკს, რომელსაც არ შეხვდა სინი და უთხრა: „ჰეი,შეგიძლია ჩემთან ერთად ითამაშო“. ორი ბავშვი ერთად იდგა სინთან და ცომით თამაშობდა. მასწავლებელმა, რომელიც იქვე იდგა, გაიღიმა და თქვა: „ძალიან კარგად მოიქეცი, კორნელიუს“. ბავშვებმა კვლავ განაგრძეს ერთად თამაში.

რას ნიშნავს

ხანდახან მასწავლებელმა თავი უნდა შეიკავოს და არ ჩაერიოს პრობლემების გადაწყვეტაში. მასწავლებელს ასე რომ გაეკეთებინა ამ შემთხვევაში, ბავშვებს არ ექნებოდათ თავისი პროსოციალური უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა. გადაწყვეტილება, ჩაერიოს თუ არა მასწავლებელი პრობლემის გადაჭრაში, ბავშვებს მისცეს მინიშნება (ან სხვაგვარად დაეხმაროს) ან დადგეს და არაფერი მოიმოქმედოს, ბავშვების ცოდნის დონის გათვალისწინებით უნდა იქნეს მიღებული. ჭკვიანმა მასწავლებელმა იცის, როგორ დაუსახოს გამოწვევები ბავშვს და გაუძლოს ცდუნებას, რომ ყოველთვის იუფროსოს და ეცადოს

პრობლემების გადაჭრას. ეს მასწავლებელი ძალიან ყურადღებიანი იყო და სწრაფად წამოსწია წინა პლანზე (და წაახალისა) ბავშვების პროსოციალური ქცევა.

ბავშვებს უნდა მივცეთ შანსი, მოაგვარონ თავიანთი კონფლიქტები

ჩვენ, მასწავლებლები, დიდი ყურადღებით ვაკვირდებით ბავშვების ურთიერთობას თანატოლებთან. მაგრამ მკვლევრების მიგნებით, ჩვენი დარიგებით შეიძლება დავეხმაროთ ან პირიქით, ხელი შევუშალოთ თანატოლებთან ურთიერთობის უნარებს.

მაგალითად, ერთ-ერთ კვლევაში მკვლევრებმა მშობლებს სთხოვეს, აღეწერათ, როგორ არიგებდნენ ბავშვებს შინ თანატოლებთან ურთიერთობების შესახებ. მშობლები დაჯგუფებულები იყვნენ პირდაპირი მონიტორინგის (ყურადღებით აკვირდებოდნენ ბავშვებს და ხშირად მონაწილეობდნენ მათ აქტივობებში) და არაპირდაპირი მონიტორინგის (ამოწმებდნენ ბავშვებს, მაგრამ უმეტესად არ ერეოდნენ) გამოყენების მხრივ. მკვლევრები შემდეგ მივიდნენ ბაღში და დააკვირდნენ, როგორ მოსწონდათ ეს ბავშვები სხვა ბავშვებს და რომელ ბავშვებს მიიჩნევდნენ მასწავლებლები მეტად მტრულად განწყობილებად და აგრესიულებად. შედეგმა აჩვენა, რომ თანატოლებს უფრო მოსწონდათ ბავშვები, რომლებსაც არაპირდაპირ მონიტორინგს უწევდნენ და მათ მასწავლებლებიც უფრო ნაკლებად მტრულად განწყობილებად და აგრესიულებად მიიჩნევდნენ. მკვლევრებმა დაასკვნეს, რომ ბავშვებს, რომლებსაც არაპირდაპირ მონიტორინგს უწევდნენ, უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ, გამოეყენებინათ სხვადასხვა პროსოციალური უნარ-ჩვევა და პრობლემების გადაწყვეტის სტრატეგია, რადგან მათი დედა მათ მაგივრად უთანხმოებებს დაუყოვნებლივ არ წყვეტდა. ასეთ ბავშვებს შეეძლოთ ეს უნარ-ჩვევები შინიდან ბაღში გადაეტანათ. ეს კვლევა გვიჩვენებს, რომ, რა თქმა უნდა, ბავშვი ყოველთვის უნდა შევამოწმოთ მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მათ ასევე უნდა მივცეთ შანსი, თუ შეუძლიათ, თავად გადაწყვიტონ კონფლიქტები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვის უნარ-ჩვევები და მიხვედრილობის დონე ახდენს გავლენას, როგორ და რამდენად უნდა ჩავერიოთ მათ ურთიერთობებში.

თანატოლებთან ურთიერთობის სწავლისათვის ბავშვებს სჭირდებათ უფროსების მხარდაჭერა, მაგრამ მათ ასევე სჭირდებათ შესაძლებლობის მიცემა, რომ უნარ-ჩვევები გამოიყენონ. უფროსები ურთიერთობების საფუძველს ქმნიან შესაბამისი სოციალური ქცევების მაგალითის მიცემით, ურთიერთობების წახალისებითა და დარიგებებით. ბავშვების სოციალური უნარები მეგობრებთან ურთიერთობით ვითარდება. ამავე დროს, უფროსები აგრძელებენ მათი პროგრესის მონიტორინგს.

თანატოლებთან თანამშრომლური ურთიერთობა და თბილი მეგობრობა ბავშვებს სწავლისათვის ოპტიმალურ გარემოს უქმნის. ბავშვებს შეუძლიათ, ისწავლონ ერთიმეორისაგან და ერთმანეთს მეგობრობა და ემოციური მხარდაჭერა გაუწიონ.

როდის დაფიქრდებიან მასწავლებლები: *ალტრუიზმის ზრდის პირობები*

ზოგიერთ ზრდასრული ასაკის ადამიანს და ბავშვსაც სურთ, რომ ყველაფრისთვის ჯილდო მიიღონ, რასაც აკეთებენ. ეს გვიჩვენებს *ალტრუიზმის* ნაკლებობას (რამის გაკეთება მხოლოდ იმიტომ, რომ ის კარგია ან იმიტომ, რომ სხვა ადამიანს ეხმარება). ალტრუისტული და პროსოციალური საქმიანობის ხელის შესაწყობად თქვენი პროგრამის ყოველდღიურ სამუშაო გრაფიკში უამრავი შესაძლებლობებია.

შეგიძლიათ დაიწყოთ ბავშვების ყველა დადებითი ქცევის აღიარებით. როცა ისინი დახმარებას გთავაზობენ, მადლობა გადაუხადეთ და უთხარით, რომ მოგწონთ მათი დახმარება. როცა დიდსულოვნებას დაინახავთ ბავშვებში, აღნიშნეთ ის. ჯგუფში ყოფნა მნიშვნელოვანია ბავშვისთვის, რათა კარგად გაიცნოს თავისი თანატოლები. ყოველთვის აღნიშნეთ დადებითი თვისებები თითოეულ ბავშვში, ისე, რომ არავინ იგრძნოს თავი გამონაკლისად.

შეგიძლიათ, ბავშვებს დაეხმაროთ სხვა ადამიანების დაცვაში. მათ შეუძლიათ, ფული შეაგროვონ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრისათვის ან დაბადების დღის ბარათები გააკეთონ პენსიონერთა სახლის ბინადრებისთვის. მოხალისეობა ჯილდოს გარეშე ალტრუიზმის კარგი პრაქტიკაა.